საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორის ბრძანება

N 59/01-01
01/03/2022

59-01-01-4-202203011734

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ჯანმრთელობის კვლევისა და განვითარებისთვის“ თანამშრომლობით 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურაში ვაკანტური ადგილების განსაზღვრისა და მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" "ო" და "პ" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტისა და „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ" თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის N57/2011 დადგენილებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 25 თებერვლის N4160/32 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ), ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ჯანმრთელობის კვლევისა და განვითარებისთვის“ თანამშრომლობით (2021 წლის 5 მარტის N20/05 თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე) 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - 6 ვაკანტური ადგილი.
2. გამოცხადდეს მიღება 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის N57/2011 დადგენილებით დამტკიცებულ, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - განაცხადის შეტანა შესაძლებელი იქნება კონკურსის გამოქვეყნებიდან (2022 წლის 1 მარტი) 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თსუ-ის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „საზოგადოებრივ ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ ჩარიცხვა მოხდება 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, 6-დან 15 სექტემბრამდე პერიოდში. განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად, არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა, პარტნიორობის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: https://prah.ge/index.php?run=account/apply

4. განაცხადის მოთხოვნები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) სამოტივაციო წერილი;
ბ) რეზიუმე ან CV, რომელიც ადასტურებს სამუშაო და კვლევით გამოცდილებას;
გ) დიპლომ(ებ)ი და ტრანსკრიპტ(ებ)ი, რომელიც ადასტურებს წინა აკადემიურ მოღვაწეობას/მოსწრებას;
დ) კვლევის გეგმა;
ე) რეკომენდაციები;
ვ) TOEFL/IELTS შეფასებები;
ზ) ამ პუნქტში ჩამოთვლილ მოთხოვნებთან დაკავშირებული დამატებითი პირობები განისაზღვრება მემორანდუმის საფუძველზე თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მიერ.
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრულია: დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი, სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი და ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი.
6. თსუ-ში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის დოქტორანტურაში მიღების ვადები და თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება დამატებით თსუ-ს რექტორის აქტის საფუძველზე.
7. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
8. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
9. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნინო ოკრიბელაშვილი



რექტორის მოვალეობის შემსრულებელი